



ბოჭუმილ ჰრაბალი

მატარებლები
განსაკუთრებული
მეთვალყურეობის ქვეშ

ბოჰუმელ ჰრაბალი
მატარებლები განსაპოთრებული მეთვალყურეობის ქვეშ

Bohumil Hrabal
OSTŘE SLEDOVANÉ VLAKY

ჩეხურიდან თარგმნა სულხან მუხიგულაშვილმა



MINISTRY OF CULTURE
CZECH REPUBLIC

Realization of this book was supported by the Ministry of Culture of the Czech Republic

წიგნი გამოიცა ჩეხეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით.

გარეკანზე: კადრი ირუი მენცელის ფილმიდან „მატარებლები განსა-
კუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ“.

© 1965 Bohumil Hrabal Estate, Zürich, Switzerland
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2021
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-666-7

www.diogene.ge

წიგნი ეძღვნება ქართველი ერის პატიოსანი და მოჭირნახულე მეგობრის, რატილის – იოზეფ ნავრატილის – ხსოვნას.

Kniha je věnována světlé památce velkého a starostlivého přítele
gruzínského národa, Ratilovi -Jozefu Navrátilovi.

ახლა ორმოცდახუთი წელია, გერმანელებმა არა მხოლოდ მთელი მსოფლიო ვერ დაიპყრეს, ჩვენი პატარა ქალაქიც კი დაკარგეს. პარტიზანებმა ისე გაურთულეს მათ სარკინიგზო მიმოსვლა, რომ დილის მატარებლები შუადღისას შემოდდიოდნენ სადგურში, შუადღისა – საღამოს, საღამოსი კი – ღამით. მართალია, ისიც მომხდარა, რომ მატარებელი დროულად შემოსულა ბაქანზე, მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ ის ოთხი საათით დაგვიანებული დილის სამგზავრო მატარებელი იყო.

გუშინნინ მონინალმდევის გამანადგურებელმა ზედ ჩვენი ქალაქის თავზე გერმანელების გამანადგურებელი დაცხრილა, თან დაცხრილა ისე, რომ ცალი ფრთა მოაწყვიტა, აღმოდებული თვითმფრინავი სადღაც მინდორში დაეცა, მომწყდარმა ფრთამ კი თვითმფრინავიდან რამდენიმე მუჭა ჭანჭიკები და ქანჩები ამოგლიჯა, რომლებიც ქალაქის მოედანზე მიმოიფანტნენ და გზად რამდენიმე ქალს თავშიც ჩაუნისკარტეს. ფრთა მოედნისაკენ მოფარფატებდა და ყველა იქმყოფი უყურებდა ამას, ვიდრე ქრიალ-ჭრიალით არ აღმოჩნდა მოედნის თავზე, სადაც ორივე რესტორნის სტუმრები გამოშლილიყვნენ, მალე ფრთის ჩრდილიც დაეფინა მიწას და მაყურებლები მოედნის მეორე მხარეს გაცვივდნენ, რომ დაუყოვნებლივ უკან გამოცვენილიყვნენ, რადგან ფრთა უზარმაზარ ქანქარასავით მოძრაობდა და ხალხს დაცემის სავარაუდო ადგილის საპირისპირო მხარეს ერეკებოდა, თან მისი გრუხუნისა და მელოდიური ზუზუნის ხმაც სულ უფრო ძლიერდებოდა, ბოლოს კი ჰაერში სრბოლას მოუჩქარა და დეკანოზის ბაღში დაებრეხვა. ხუთი წუთიც არ გასულა, რომ მოსახლეობა იმ ფრთის ლითონის ფურცლებსა და ნაგლეჯებს სახლებისკენ მიაქანებდა, რათა მეორე დღეს საქათმის ან საბოცვრის სახურავად ექცია ისინი. იმავე დღის ნაშუადღევს ვილა-

ცამ ნაალაფარი ლითონის ფურცლებისგან რაღაც გამოჭრა, უკვე საღამოს კი მის მოტოციკლს შხეფებისგან წვივების დასაცავი ფარები ჰქონდა მიმაგრებული. და მარტო იმ ფრთას კი არა, ქალაქის ახლოს, დათოვლილ მინდორში ჩამოვარდნილ იმპერიის კუთვნილ თვითმფრინავსაც დააძრეს ლითონის მთელი ფურცლები და ნაწილები. ჩამოგდებიდან ნახევარ საათში ველოსიპედით მივდიოდი თვითმფრინავის სანახავად და უკვე გზად მხვდებოდა ნადავლით დატვირთული ურიკებით შინისკენ მობრუნებული ხალხი. ერთი გამაგებინა, რაში სჭირდებოდათ ეს ყველაფერი? თუმცა გზას მაინც განვაგრძობდი, ჩამოვარდნილი თვითმფრინავის ნახვა მინდოდა. ვერ ვიტანდი ამ შემგროვებლებს. აბა, სად მე და სად თვითმფრინავის ნაწილების დაძრობა და ამ ნაგვის შეგროვება! და უცებ რას ვხედავ: თვითმფრინავის გაჭვარტლული ნამსხვრევებისკენ მიმავალ თოვლის დატკეპნილ ბილიკს მამაჩემი არ მოუყვება?! მას ვერცხლისფერი მუსიკალური ინსტრუმენტი ეჭირა ხელში, იცინოდა და ჰაერში ვერცხლისფერ ნაწლავებს, ანუ, რაღაც მიღებს ათამაშებდა. დიახ, თვითმფრინავიდან მოხსნილი მიღები იყო, მიღები, რომლებშიც ბენზინი მიედინებოდა. მხოლოდ გვიან საღამოს, შინ დაბრუნებულმა შევიტყვე, რა ახარებდა მამაჩემს ასე ძალიან. მან მილიტოლ ნაჭრებად დაჭრა, გააპრიალა და ამ სამოც გაპრიალებულ ნაჭერს თავისი მექანიკური ფანქარი მიუდო გვერდით. საკუთარი ხელით მამაჩემს ამქვეყნად ყველაფრის გაკეთება შეეძლო იმიტომ, რომ ორმოცდარვა წლის ასაკიდან პენსიონერი იყო. მემანქანედ მუშაობდა, მატარებელი პირველად ოცი წლისამ დაძრა და იქიდან მოყოლებული წლები ორმაგად ჰქონდა ჩათვლილი. ხალხი შურით სკდებოდა, როცა გაიაზრებდნენ, რომ შეიძლებოდა, კიდევ ოცი-ოცდაათი წელი ეცოცხლა. მამაჩემი დილაობით იმათზე უფრო ადრე დგებოდა, ვინც სამუშაოზე მიიჩქაროდა, მთელ ჩვენს რაიონს მოივლიდა და ყველაფერს აგროვებდა, რის შეგროვებაც კი შეიძლებოდა: ჭანჭიკებს, ნალებს. ნაგავსაყრელებიდან მოჰქონდა ყოველგვარი ხარახურა და მანქანის ნაწილები. ყველაფერს შინ ინა-

ხავდა, სხვენსა და ფარდულში, ჩვენი სახლი კი ჯართის მიმღებ პუნქტს ჰგავდა. თუ ვინმე ავეჯის გადაყრას დააპირებდა, მამაჩვენს ისიც შინ მოჰქონდა. ამიტომ, თუმცა სახლში სამნი ვცხოვრობდით, ორმოცდაათი სკამი, შვიდი მაგიდა და ცხრა სავარძელი გვექონდა. კარადების, პირსაბანებისა და ტოლჩების დათვლა კი არც მიცდია. მაგრამ ესეც არ ჰყოფნიდა, შემოაჯდებოდა ხოლმე ველოსიპედს და ნაგავსაყრელებისაკენ მიდიოდა, იქ კაუჭიანი ჯოხით ქექავდა ნაგავს და საღამოს ბრუნდებოდა ნაალაფარით, რადგან ერთ მშვენიერ დღეს შესაძლოა, ყველაფერი გამოსდგომოდა კაცს და ასეც ხდებოდა ხოლმე: როცა ვინმეს რამე ისეთი სჭირდებოდა, რასაც ქარხნები აღარ უშვებენ, – ვთქვათ, ავტომობილის, წნების ან სალენი მანქანის ნაწილი – ჩვენ მოგვადგებოდა. მამა წამით ჩაფიქრდებოდა და პირდაპირ სხვენისკენ, ფარდულისკენ ან ეზოში დაყრილი დიდი გროვისკენ გასწევდა, ცოტა ხანს იქექებოდა და ბოლოს რაღაც ხარახურას გამოაძვრენდა, ანუ იმას, რაც საჭირო იყო. ზუსტად ამიტომ იყო ხოლმე მამაჩემი რკინის კვირის¹ უფროსი. როდესაც ჯართი სადგურისკენ მიჰქონდა, აუცილებლად სახლს ჩამოუვლიდა და ჯართის ნაწილს ჩვენი ჭიშკრის წინ ყრიდა. მიუხედავად ამისა, მეზობლები ვერ პატიობდნენ! ალბათ იმას ვერ პატიობდნენ, რომ ჩვენი დიდი ბაბუა ლუკაში თვრამეტი წლიდან პენსიას იღებდა, დღეში ერთ ოქროს, რასაც რესპუბლიკის დროს უკვე კრონებში უხდიდნენ. ჩემი დიდი ბაბუა ათას რვაას ოცდაათ წელს დაიბადა, ათას რვაას ორმოცდარვა წელს კი უკვე სამხედრო მედაფდაფე იყო და იმ თავისი დაფდაფით კარლოსის ხიდზე იბრძოდა, რომელზეც სტუდენტებმა ქვაფენილის ქვები დაუშინეს სამხედროებს, ქვა სწორედ დიდ ბაბუას მოარტყეს მუხლში და სამუდამოდ დაასახიჩრეს. იქიდან მოყოლებული, დიდი ბაბუა პენსიას იღებდა, დღეში ერთ ოქროს, რომლითაც ყოველდღე ერთ ბოთლ

¹ რკინის კვირა – ჩეხეთში ასე უწოდებდნენ შაბათობას, რომლის დროსაც ჯართს აგროვებდნენ.

რომს და თამბაქოს ორ ორმოცდაათგრამიან შეკვრას ყიდულობდა, და იმის მაგივრად, რომ სახლში მჯდარიყო და წყნარად ესვა და ებოლებინა, მინდვრის ბილიკებზე და ქუჩა-ქუჩა დაკოჭლაობდა, განსაკუთრებით კი ის ადგილები უყვარდა, სადაც ხალხი იკრიბებოდა. ჰოდა იქ, მუშების წინაშე, კმაყოფილებით წრუპავდა იმ თავის რომს და აბოლებდა თამბაქოს; და წელი არ გავიდოდა, რომ დიდი ბაბუა ლუკაში ვინმეს სადმე ისე არ მიეხედა, რომ შინ ბაბუას წამოსაღები გამხდარიყო. შემოდებდა ხოლმე საზიდარზე და მოჰქონდა შინ. მაგრამ დიდი ბაბუა ოდნავ მომჯობინდებოდა თუ არა, ისევ იმდენს ლაპარაკობდა იმაზე, ვინ უკეთესად მოეწყო ამქვეყნად, სანამ ისევ უღმერთოდ არ სცემდნენ. ავსტრიის იმპერიის დასრულებით ის პენსიაც დასრულდა, სამოცდაათი წლის განმავლობაში რომ იღებდა. პირველი რესპუბლიკის პენსიამ კი ის ერთი ბოთლი რომი და თამბაქოც წაართვა და მიუხედავად ამისა, წელი არ გასულა, რომ დიდი ბაბუა ლუკაში გონის წასვლამდე არ მიეხედავთ იმიტომ, რომ ამჯერად იმ სამოცდაათი წლით ტრაბახობდა, ერთი ბოთლი რომი და ორი შეკვრა თამბაქო რომ ჰქონდა ყოველდღე. და ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ათას ცხრაას ოცდათხუთმეტ წელს დიდი ბაბუა ტრაბახს არ მოჰყვა ქვისმჭრელებთან, რომელთაც ის-ის იყო კარიერი დაუხურეს. ჰოდა, იქ ისე სცემეს, რომ მოკვდა. ექიმის სიტყვებით კიდევ ოც წელს ისე იცხოვრებდა, როგორც არაფერი. ამიტომ არც ერთი სხვა ოჯახი არ ჰქონდა ქალაქს ყელში ისე გაჩხერილი, როგორც ჩვენი. და კვიცი დიდი ბაბუა ლუკაშისგან შორს რომ გადამხტარიყო, ბაბუა ჰიპნოტიზიორი გახდა, პატარ-პატარა ცირკებში გამოდიოდა; და მთელი ქალაქი მის ჰიპნოტიზიორობაში მუქთახორულად ცხოვრებისკენ სწრაფვის გარდა ვერაფერს ხედავდა. ხოლო, როდესაც გერმანელებმა, ამჯერად მთელი ქვეყნის დასაპყრობად, მარტში ჩვენი საზღვრები გადმოლახეს და პრადისკენ მოიწვედნენ, მხოლოდ ჩვენი ბაბუა აღუდგა მათ წინ, მხოლოდ ჩვენი ბაბუა გაემართა გერმანელებთან ჰიპნოზით საბრძოლველად, აზრის ძალით მოიერიშე ტანკების შესაჩერებლად.

აი ასე, მიაბიჯებდა ბაბუა შუა გზატკეცილზე და თვალს არ აშორებდა პირველ ტანკს, რომელიც მოტორიზებულ შენაერთებს მოუძღოდა წინ. და იმ ტანკის ლუქში წელს ზევით მოჩანდა გერმანელი სამხედრო, რომელსაც შავი ბერეტი ეხურა – თავის ქალისა და გადაჯვარედინებული ძვლების გამოსახულებით, ბაბუაჩემი კი ზუსტად ამ ტანკისკენ მიიწევა და გაშვერილი ხელებით და ანთებული თვალებიდან შთაგონებების ფრქვევით: „შეტრიალდით და უკან გაბრუნდით...“ და მართლაც, პირველი ტანკი გაჩერდა, მის უკან მთელი არმია გაშეშდა... ბაბუა თითებით შეეხო პირველ ტანკს და განაგრძო შთაგონება: „შეტრიალდით და უკან გაბრუნდით, შეტრიალდით და უკან გაბრუნდით, შეტრიალდით და...“ შემდეგ კი ლეიტენანტმა დროშით ნიშანი მისცა და ტანკი დაიძრა, მაგრამ ბაბუა გვერდზე არ განეულა, ტანკმაც ზედ გადაუარა და თავი მოაგლიჯა. და მორჩა... იმპერიის არმიას ამიერიდან წინ აღარაფერი ელობებოდა. მამამ კი ბაბუას თავს დაუნყო ძებნა. ის პირველი ტანკი პრალის მისადგომთან იდგა, გამწვე მანქანას ელოდა, ბაბუას თავი მუხლუხებში იყო ჩაჭედებული და მუხლუხები ისე იყო მოტრიალებული, რომ მამამ გერმანელებს სთხოვა, ნება მიეცათ, იქიდან ბაბუას თავი ამოეძრო და ტანთან ერთად დაესაფლავებინა, როგორც ქრისტიანს შეეფერებოდა. მას მერე ჩვენს რაიონში კამათი არ წყდებოდა: ერთნი იძახდნენ, რომ ბაბუა სრული გიჟი იყო, მეორენი კი ამტკიცებდნენ, რომ მთლად გიჟიც არ ყოფილა და გერმანელების წინააღმდეგ ყველა ჩეხი მასავით რომ დამდგარიყო, – ოღონდ იარაღით ხელში, – ვინ იცის, გერმანელები რას გაახერხებდნენო.

მაშინ ჯერ კიდევ ქალაქგარეთ ვცხოვრობდით, ქალაქში მოგვიანებით გადმოვსახლდით და რაკი სოფელში მარტოობას ვიყავი მიჩვეული, ქალაქში რომ ჩამოვედით, ირგვლივ სამყარომ შევიწროება დაიწყო. აქედან მოყოლებული, ქალაქიდან რომ გავალწევი, მაშინ თუ ამოვისუნთქავდი შვებით. ქალაქში დაბრუნებისას კი, გადავივლიდი თუ არა ხიდს, ქუჩები და გზები ისევ ვინროვდე-

ბოდა, მეც ვვინროვდებოდი, სულ ისეთი შეგრძნება მქონდა, მაქვს და მექნება, რომ ყოველი ფანჯრიდან ერთი წყვილი თვალი მაინც მაკვირდებოდა. თუ ვინმე გამომელაპარაკებოდა, ვნითლდებოდი, რადგან მეგონა, თვალში არავის მოვდიოდი. სამი თვის წინ მაჯე-ბი გადავისერე. თითქოს საამისოდ არავითარი მიზეზი არ მქონდა, მაგრამ სინამდვილეში მქონდა მიზეზი და მშვენივრად ვიცოდი, რატომაც გავაკეთე ეს. და როცა ვინმე მიყურებდა, მეშინოდა, რომ ამ მიზეზს გამოიცნობდა. ამიტომ ყოველი ფანჯრის უკან თვალები მელანდებოდა. აბა, განა სხვა რა აზრები ექნება ადამიანს, რომელიც სულ რაღაც ოცდაორი წლისაა? მეგონა, ჩვენი ქალაქის მცხოვრებლები იმიტომ მიყურებდნენ, რომ იცოდნენ, ვენები იმ სამუშაოსგან თავის დასაძვრენად გადავიჭერი, რომელსაც ახლა ისინი ჩემ მაგივრად ასრულებენ, ისევე, როგორც თავის დროზე დიდი ბაბუა ლუკაშის მაგივრად მუშაობდნენ და ბაბუა ვილჰელმის მაგივრად, რომელიც ჰიპნოტიზირი იყო; და მამაჩემის მაგივრადაც, რომელიც მეოთხედი საუკუნის განმავლობაში მხოლოდ იმიტომ დააქროლებდა ლოკომოტივებს, რომ მერე ალარაფერი ეკეთებინა.

წელს გერმანელებმა ჩვენი პატარა ქალაქის თავზე საჰაერო სივრცე ველარ შეინარჩუნეს.

თვითმფრინავთან რომ მივედი, გარშემო მინდვრებზე თოვლი ისე ბრწყინავდა მცხუნვარე მზის ქვეშ, ისე აფრქვევდა ფერად სხივებს, თითქოს თოვლის ყოველ კრისტალში წამის ციციქნა ისარი ნიკნიკებსო, მაგრამ ეს ნიკნიკი არა მარტო თოვლის ყოველ კრისტალში მოისმოდა, არამედ სადღაც სხვაგანაც. ჩემი საათის ნიკნიკიც კი ძალიან მკაფიო იყო, თუმცა კიდევ რაღაც სხვა ნიკნიკი მესმოდა, და ეს ხმა თვითმფრინავიდან მოდიოდა, მისი ნამსხვრევების გროვიდან. და მართლაც, მონყობილობების დაფაზე საავიაციო საათი ნიკნიკებდა, მეტიც, ჩემს საათს შევადარე და აღმოჩნდა, რომ ზუსტ დროს აჩვენებდა. და უფრო ქვემოთ მზით კარგად განათებული ხელთათმანი დავინახე, ვგრძნობდი, ის ხელთათმანი ცარიელი რომ არ უნდა ყოფილიყო, რომ ის ადამიანის ხელის მტე-

ვანზე იყო ჩამოცმული, და რომ ის ხელის მტევანი მხარზე იყო მიბმული, მხარი კი – ადამიანის სხეულზე, რომელიც ნამსხვრევების ქვეშ ღრმად მოყოლილიყო.

მთელი სხეულით დავანექი ველოსიპედის პედალს, ყოველი მხრიდან მზის შუქში მოციმციმე მინიატურული წამების ისრები ნიკნიკებდნენ, რკინიგზაზე კი სატვირთო მატარებელი მიჩუქჩუქებდა მხიარულად, ქვანახშირის მატარებელი იყო, მოსტის დაბლობში ბრუნდებოდა და ორმოცი ვაგონი ება; შემადგენლობის შუაში ერთ-ერთ ვაგონს მუხრუჭი ჰქონდა ჩამოშვებული, გახურებული მუხრუჭებიდან ლითონი პირდაპირ რელსებზე იღვენთებოდა, მაგრამ იმპერიის ლოკომოტივი ამ დამუხრუჭებულ ვაგონსაც თავისუფლად მიათრევდა.

ხვალ უკვე ჩემს ორლიანდაგიან სადგურში ვიქნები, სადაც დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიმავალ ყველა მატარებელს სამგზავრო განრიგის მიხედვით კენტი ნომერი ექნება, აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მომავალ მატარებლებს კი – ლუნი. სამთვიანი შესვენების შემდეგ ისევ შევუდგები მატარებლების მოძრაობის რეგულირებას, ისევ ჩემს სადგურში ვიქნები, სადაც ორი ძირითადი ლიანდაგია. აღმოსავლეთის მიმართულების მისასვლელი ლიანდაგი არის ლიანდაგი ნომერი ერთი, მეორე მისასვლელი ლიანდაგი, რომლითაც აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მოძრაობენ, არის ლიანდაგი ნომერი ორი და პირველი ლიანდაგის მარჯვენა განშტოებებს კენტი ნომრები აქვს: სამი, ხუთი, შვიდი და ა. შ., და ნომერი ორი მისასვლელი ლიანდაგის მარჯვენა განშტოებებს კი – ლუნი ნომრები: ოთხი, ექვსი, რვა, ათი და ა. შ.; თუმცა, ეს ჩვენთვის, სახელმწიფო რკინიგზის მუშაკებისთვის, არსებობს ასეთი დანომვრა, თორემ ჩვეულებრივი ადამიანისთვის, რომელიც სადგურის ბაქანზე დგას, ყველაფერი სხვაგვარად მოჩანს, მაგალითად, ჩემს სადგურში პირველი ლიანდაგი მეხუთეა, მეორე მესამეა, მესამე პირველია, მეოთხე კი – მეორე... ხვალ დილაადრიანად ჩავიცვამ ფორმას, შავ შარვალსა და ლურჯ პერანგს, ფორმის ლაბადას

თითბრის ღილებით, რომლებსაც დედაჩემი „სიდოლით“ აპრიალებს ხოლმე, ბოლოს საყელოს შევიკრავ, რომელსაც იგივე ნიშანი ამშვენებს, რაც პალტოს და ლაბადის საყელოებს, მისი მიხედვით ყოველი რკინიგზელი მიხვდება, თუ რა თანამდებობა მაქვს სამსახურში. საყელოს ღილი ხალხს ამცნობს, რომ საშუალო სკოლის ატესტატი მაქვს, იქვე ოქროს ძაფებით დაქარგული ულამაზესი ვარსკვლავი კი იმის მანიშნებელია, რომ რკინიგზის ელევე² ვარ. საყელოზე კიდევ ერთი და ყველაზე ლამაზი ნიშანი ბრწყინავს, ფრთოსანი ბორბალი, იასამნისფერი და ლურჯი ნაქარგებით დამშვენებული, ფრთოსანი ბორბალი, რომელიც ოქროს ზღვის ცხენს წააგავს. დილას ჯერ კიდევ სიბნელეში გავალ სახლიდან, დედაჩემი ფარდის უკან გაუჩქრევლად იდგება და მზერით გამაცილებს, ყველა სხვა ფანჯრიდანაც გამომხედავენ, როდესაც მათ ფანჯრებს გაუუსწორდება, ყველგან ვილაც იდგება, დედაჩემივით თითი ფარდაზე ექნება მიდებული და ისე გამომხედავს, მე კი მდინარისაკენ დავეშვები და, როგორც ყოველთვის, ბილიკის დასაწყისში შევიჩერდები, და ამოვისუნთქავ, რადგან არ მიყვარს სამსახურისკენ მატარებლით მგზავრობა, აქ მდინარესთან თავს უფრო თავისუფლად ვგრძნობ, არავითარი ფანჯრები, მოულოდნელობები და კეფაზე ქალის ქუდის ქინძისთავების ჩხვლეტები.

სატრანსპორტო კანცელარიაში ყველაფერი ისევ ისე დამხვდა, როგორც წამოსვლისას დავტოვე. ლიანდაგის გადამყვანი ისრების ჩასაკეტი ბლოკი ისევ „არისტონისა“ თუ „ფორბსის კარადასავით“ გამოიყურებოდა, ტელეგრაფის მაგიდა ისევ იდგა ფანჯარასთან, რომელიც გაჰყურებდა შუა მინდორში მიმავალ, ბებერი ვაშლებით მოარშიებულ ხუთკილომეტრიან გზას, გზას, რომლის ბოლოშიც გრაფ კინსკის სასახლე მოჩანდა. დღეს დილით, როდესაც მზე კარგად ამოვიდა, ეს სასახლე პირველ სართულამდე ნისლში იყო გახ-

² élève – ფრანგულად ნიშნავს მოწაფეს. იმ ეპოქაში ეს იყო რკინიგზელის ყველაზე დაბალი რანგის თანამდებობა.

ვეული და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს ოქროს ძენკვი-
თაა ცაში გამოკიდულიო. მაგიდაზე „Siemens Halske“-ის მიერ ნახე-
ვარი საუკუნის წინ წარმოებული ტელეგრაფის სამი მონყობილობა
იდო, ტელეგრაფის სამი წიგნაკი, რკინიგზის ორი და სადგურის
სამი ტელეფონი, რომლებიც წამდაუნუმ ირთვებოდა, რის გამოც
ოთახს ტელეფონებისა და ტელეგრაფების წარწარი ცქრიალი, ნა-
ზი ლულუნი და ჟღერტული ავსებდა, ადამიანს თავი მომღერალი
ჩიტებით მოვაჭრის ფარდულში ეგონებოდა. მოსაცდელი დარბაზის
ფანჯარაზე თითბრის რგოლებში გატარებული მწვანე ფარდები
ეკიდა, გვერდით კი რკინის კარადა და ბილეთების დასათარილებე-
ლი მანქანა იდგა. სადგურის მორიგე ჰუბიჩკა მომესალმა და მით-
ხრა, რომ ერთად ვიმუშავებდით და რომ სამთვიანი ავადმყოფო-
ბის შემდეგ ყველაფერი თავიდან უნდა გამეხსენებინა. მერე კი პან
სადგურის მორიგემ საათი მკითხა და მაჯაზე სახელო წამომინია,
ოღონდ საათის მაგივრად შეხორცებულ ნაჭრილობევს უყურებდა.

სირცხვილით გავწითლდი და ვითომ ჩემი წითელი ქუდის მოსა-
ძებნად მოვშორდი იქაურობას. ქუდი კარადაში იდო, მთლად დამ-
ტვერილიყო და კეპზე თავგის თათების ნაკვალევი ემჩნეოდა. დი-
ლის მზის ქვეშ ვიდექი და ჯაგრისით ვწმენდდი ფორმის ქუდს, თან
ვუსმენდი, როგორ ლულუნებდნენ პან სადგურის უფროსის მტრე-
დები სამტრედეში. სადგურის უკან დოლის თარჯები და პარდუბი-
ცეს დიდი დოლის ტრასის მინიატურული ასლი მოჩანდა, რადგან
გრაფი კინსკი შერეული სისხლის ცხენებს აშენებდა, რომლებმაც
მხოლოდ პარდუბიცეს დიდი დოლი კი არა, ლივერპულის დიდი დო-
ლიც მოაგებინეს, თითქმის მილიონი ფუნტი სტერლინგი. მაშინ ეს
იმხელა ფული იყო, რომ გრაფმა სადგურის უკან ჩვენი სოფლისათ-
ვის თეატრის, საკონცერტო დარბაზისა და კინოთეატრის მშენებ-
ლობა წამოიწყო, მაგრამ ველარ დაასრულა და შენობა საწყობად,
მსოფლიოში მარცვლეულის ყველაზე ლამაზ სათავსოდ გადააკეთა,
რომლის შესასვლელს ბერძნული და რომაული სვეტები ამშვენებდა.
ამ საწყობს ინგლისური სახელი შევარქვით: ლივერპული.

ზუსტად რვის ნახევარზე სადგურში პან სადგურის უფრო-სი შემოვიდა. თითქმის ას კილოგრამს იწონიდა, მაგრამ ქალები ამბობდნენ, ცეკვისას საოცრად მსუბუქად მოძრაობსო. თმას ისე ივარცხნიდა, რომ მარცხნიდან, მოტველპილი ნაწილის გავლით მარჯვნივ გადაჰქონდა, და მარჯვენა ყურიდან ნამოღებულ თმას კი გამელოტებული თავის მარცხენა მხარეს იტკეპნიდა, და როდესაც ბაქანზე მიაბიჯებდა და ქარი უბერავდა, ვარცხნილობა ეწენებოდა, და თმის ეს გოტიკური თალი ყალყზე უდგებოდა.

აი, საკუთარი კაბინეტის კარიც გააღო. ვინ იფიქრებდა, რომ ასეთი პატარა სადგურის უფროსს ასე მონყობილი კაბინეტი ექნებოდა?! სპარსული ხალიჩიდან წითელი და ლურჯი ყვავილები ანათებდა, თურქული ტაბურეტები კი აღმოსავლურ ელფერს მატებდა იქაურობას. წითელი ხით ინკრუსტირებულ მძიმე სამუშაო მაგიდას პალმის უზარმაზარი ფოთლები ფარავდნენ, რომლებიც ვენეციური სავარძლის თავზე ქოლგასავით იშლებოდნენ, და საერთოდაც, მისი კაბინეტი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ შეიძლებოდა, ტახტრევანზე შემოგედო და გეტარებინა, ცხადია, პან უფროსთან ერთად. აი, რომის პაპს რომ ატარებენ, ისე. როკოკოს სტილის კარადაზე მარმარილოს საათი იდგა, რომელსაც ქანქარის ნაცვლად სამი მოოქროვილი ბურთი ჰქონდა, და ხან აქეთ ბრუნავდნენ და ხან იქით. და ყველა, ვინც კი ამ საათის ხმას გაიგონებდა, მისკენ ტრიალდებოდა და ამბობდა: „რეკვაც ამისთანა უნდა!“ და კიდევ, კაბინეტში შოკოლადისფერი გასანთლული ტილოს დივანი იდგა და კედელზე ზეთში დახატული დიდი სურათი ეკიდა, რომელზეც სწრაფი მატარებლის ლოკომოტივი იყო გამოსახული. ლოკომოტივი ვილსონის სადგურიდან გამოდიოდა, და ორთქლს ლიანდაგებისკენ და ცისკენ უშვებდა, და ორთქლის ამ ღრუბლიდან პირდაპირ ჩვენკენ მოექანებოდა. სურათი რკინიგზის ყველა მუშაკს აღაფრთოვანებდა, ჩვენს უფროსზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელსაც ცხოვრებაში სულ ორი მიზანი ჰქონდა: ერთი, სახელმწიფო რკინიგზის ინსპექტორი გამხდარიყო და მეორე, რუყელი ბარონი

ლანსკის წოდება მიელო, რადგან წინაპრების ამბები მოიკვლია და აღმოაჩინა, რომ ცოტაოდენი ცისფერი სისხლიც ერია. მოკლედ, ორმაგად ცისფერსისხლიანი იყო, რადგან ჩვენში რკინიგზელებს ცისფერ არისტოკრატობას უწოდებენ.

მეორე მხრივ, პან უფროსს ერთი სრულიად მინიერი გატაცება ჰქონდა – მტრედების მოშენება. ომამდე ნიურნბერგული ბაგდეტეზის მოშენებას მისდევდა. აი იმათი, ფრთებზე თეთრი და შავი ისრები რომ აქვთ, ყოველ მეორე დღეს საკუთარი ხელით უსუფთავებდა გალიას, უცვლიდა წყალს და უყრიდა საკენეს. მაგრამ, როდესაც გერმანელები ასე დაუნდობლად დაესხნენ თავს პოლონელებს და ბოლოს დაამარცხეს კიდეც, სამტრედე დაკეთა და ჰრადეცში გამგზავრების წინ სადგურის მუშას სთხოვა, მთელი ის ნიურნბერგული ბაგდეტეები სათითაოდ მოეხრჩო. ერთ კვირაში დაბრუნდა და პოლონური ფოცხვერის ჯიშის მტრედები მოიყვანა, მშვენიერი ცისფერი საყელოთი და ფრთებზე გამოსახული ცისფერი და ნაცრისფერი სამკუთხედებით, რომლებიც სააბაზანოს ფილებივით ერგებოდნენ ერთმანეთს.

მე კი ამ დროს ლიანდაგებს შორის ვიდექი და ვგრძნობდი, როგორ მიყურებდა უფროსი, ჰოდა შევეტრიალდი და სარდაფის ღია ფანჯრისკენ გავიხედე, ვხედავდი უფროსის ცოლის თვალებს, ბატს აჭმევდა და თან მე მიყურებდა. მიყვარდა პანი უფროსი³, სალამობით ჩვენს ოთახში ჩამოჯდომა იცოდა, იჯდა და ყაისნალით მაგიდის დიდ გადასაფარებელს ქსოვდა, და ქსოვისგან წარმოუდგენელი სიმშვიდე მოდიოდა, მის თითებს შორის ყოველ წამს ახალ-ახალი ჩიტები და ყვავილები იბადებოდნენ, სატელეგრაფო მაგიდაზე წიგნი ედო, გადაიხრებოდა, ჩაიხედავდა წიგნში, რომ ენახა, როგორ უნდა გამოეყვანა თვლები და აგრძელებდა ქსოვას, გეგონებოდა, ციტრაზე უკრავს და ნოტებში იყურებოდა. და ყოველ პარასკევს

³ პანი უფროსი – ჩეხური ჩვეულების მიხედვით, შვიძლება, ასე უწოდო პან უფროსის მეუღლეს.

სიკვდილით სჯიდა ბოცვერს: საბოცვერიდან ამოარჩევდა ბოცვერს, ფეხებს შორის მოიქცევდა, ზღაგვ დანას ყელში გაუყრიდა და ატრიალებდა და ატრიალებდა, სანყალი ცხოველი კი წიოდა, დიდხანს წიოდა, ბოლოს მისი წივილი სუსტდებოდა, პან უფროსის ცოლს კი ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ყაისნალით დიდ გადასაფარებელს ქსოვსო. ამბობდა, რომ ასე, ანუ როდესაც ბოცვერი სისხლისგან იცლება, მისი ხორცი უფრო გემრიელი და ნაზიაო. წინასწარ ვხედავდი, იმ სანყალ ბატს როგორ დაკლავდა: ცხენივით შემოაჯდებოდა, ნარინჯისფერ ნისკარტს კისერთან მიუტანდა, თითქოს ჯაყვას კეცავსო, ჯერ კეფაზე დიდი მზრუნველობით ბუმბულს დააცლიდა, მერე კი სისხლი პატარა ქვაბში ჩადინებას დაიწყებდა, ბატი ნელ-ნელა დასუსტდებოდა, ბოლოს მოიჩვარებოდა, ჩაიკეცებოდა და პან უფროსის ცოლი საკუთარ ქუსლებზე აღმოჩნდებოდა ჩამომჯდარი.

– ელევ ჰრმა! – გამომძახა პან უფროსმა.

მივედი, გავიჯგიმე, ხელი ქუდთან მივიტანე და წარმოვთქვი:

– ელევ მილომ ჰრმა მზადაა სამსახურისათვის!

– დაჯექი, – მითხრა პან უფროსმა და წამოდგა, პალმის ფოთოლი კი ამ დროს ქუდივით დაედო თავზე, ერთხანს ასე იდგა ჩემ წინ და ცრემლებდამშრალი თვალებით ფორმას მითვალისწინებდა, მერე პალტოზე ბოლო ღილი შემიკრა და მითხრა:

– მაშ ასე, ჰრმა, შეამჩნიეთ თუ არა, რომ ტელეგრაფისტი არ გყავს?

– ზდენკა წმინდანი⁴, – მივუგე.

⁴ ორიგინალში ტელეგრაფისტის გვარია სვატაა (Svatá), რაც ქართულად ითარგმნება, როგორც წმინდანი. ზოგადად, ჩეხური სიტყვებიდან წარმოებულ გვარების ნაწილი – ტექსტის უკეთ გასააზრებლად – თარგმნილია და შინაარსს შეესაბამება.

„ზდენიკ“ კალატოზს ნიშნავს, „ზედნიჩეკ“ ამ სიტყვის კნინობითი ფორმაა. „კარას“ კარჩხანა თევზის ჩეხური დასახელებაა. სიტყვა „ჰუბა“ ქართულად შეიძლება, ითარგმნოს, როგორც პირი, სიფათი, კოცნა, „ჰუბიჩკა“ კი ამ სიტყვის კნინობითი ფორმაა.

– ჰოო... მაშ წმინდანი არა?! – აღმოხდა პან უფროსს – და ქალაქში არაფრისთვის მოგიკრავს ყური?

– მე არაფერი გამიგია, მოხდა რამე?

– საოცარია, ჩვენი პან მორიგის სანახავად ცოტაც და, ტურისტული ჯგუფები მოგვადგებიან... გეგონება, ორი თავი აქვს! ან ოთხი ფეხი! კარგად გაუთქვა სახელი ამ ჩვენს პატარა და წყნარ სადგურს, მეტი რომ არ შეიძლება, ისე!

– ჰო, ჩვენი პან მორიგე ჰუბიჩკა, ნამდვილად, ზუსტად ასეა. – და მოვუყევი:

– აი დობროვიცში რომ ვმუშაობდი პან ჰუბიჩკას ზედამხედველობით, მაშინაც ახლომახლოდან ყველა მის სანახავად მოდიოდა... იმიტომ, რომ ერთ ქალბატონთან ერთად პან უფროსის დივანი ჩახია...

– გასანთლული ტილოს ავსტრიული დივანი? – გადმოკარკლა თვალები პან უფროსმა. – აი ასეთი?

– ზუსტად ასეთი! – მივუგე.

– ჩამოჯექი, მილოშ, – დაყვავებით მითხრა, თვითონ ჩემ პირდაპირ მდგარ ტაბურეტს გადააჯდა და ხელი ყურთან მიიტანა.

– ლამის უკანასკნელი სამგზავრო მატარებელი რომ გავიდა, – ვერწურწულებოდი პან სადგურის უფროსს, – ანუ, საღამოდან მოყოლებული, ჩვენს ოთახში ერთი ძალიან ლამაზი ქალბატონი იჯდა, სულ სიგარეტს აბოლებდა და ღვინოს წრუპავდა და შუალამეს რომ გადასცდა, პან მორიგემ მითხრა: „მილოშ, მართალია, ჯერ მხოლოდ შეგირდი ხარ, მაგრამ შენი მჯერა. ამიტომ ორიოდ საათით ჩემ ნაცვლად იქნები აქ.“ ჰოდა, მე ვმორიგეობდი, და პან მორიგემ კი ის ქალი პან უფროსის კაბინეტში შეიყვანა და იცით, რა მესმოდა იქიდან: „ჩემო ფისუნია, სხეულს სჭირდება, პირდაპირ თხოულობს ამას...“

– ღორი, ჯაგრიანი ტახნი! – წამოხტა პან უფროსი და მოლულუნე მტრედებს იქით ბაქანს გახედა, სადაც პან სადგურის მორიგე იდგა.

– ეტყობოდეს მაინც მაგ ოხერს, ასეთი მუსუსი რომაა! – ყვიროდა პან უფროსი, პან მორიგემ კი თითი ყურში შეიყო და ისე ამოდრავებდა, თითქოს წყალი ჩაუგუბდაო.

– მდორე მდინარე ნაპირებს ჩამოშლის, – შევახსენე პან უფროსს.

– მაგრამ შუალამიდან დაახლოებით ერთ საათში, სატვირთომ შაქრის ვაგონები რომ გაიყვანა, ისეთი ხმები მომესმა, აი კუბოს რომ გააჩოჩებ იატაკზე... და მერე ბრახუნი! შევევარდი პან უფროსის კაბინეტში და რას ვხედავ: ის ქალი პან უფროსის დივანზე ზურგზე წევს, შიშველია და ფეხები აი ასე აქვს გადანეული! და პან მორიგე ჰუბიჩკა კი კალსონების ამარა იატაკზე აგდია, ისე, როგორც მებრძოლი ინვა ჩვენს ეკლესიაში, უფლის საფლავი როცა გაიღო, და მეუბნება: „მილოშ, საკადრისად ვერ დაფხვი შემხვედრ მოძრაობას, ჩამოვვარდი სიყვარულის საკურთხეველიდან...“

– ხალებიანი აფთარი ეგა! – დაიყვირა პან უფროსმა და ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილმა ბაქანს გახედა, სადაც ფეხებგაჩაჩხული პან მორიგე იდგა და ცაში იყურებოდა.

– და ის ბოზი როგორ ინვა უფროსის დივანზე, როგორ? – დაინტერესდა პან უფროსი.

– თუ ნებას მომცემთ, გიჩვენებთ, – ვუთხარი, ხელი გაზიპზიპებული დივანისკენ გავიშვირე და ისე გადავეშვი დივანზე, რომ ჰაერში შემოტრიალება მოვასწარი და პირდაპირ ზურგით დავეცი. პან უფროსი კი ჩემკენ გადმოიხარა და მუქარას მოჰყვა:

– ასე მოსაცდელ დარბაზში იკოტრიალოს თავის ბოზებთან! და არა თავისი უფროსის დივანზე!

– იმიტომ, რომ უფროსის დივანზე მხოლოდ თვით უფროსს შეუძლია დაჯდომა, – დავურთე.

– აგერ შენც იცი, რომ ეს ასეა, მაგრამ მაგ ჯაგრიანი ტახისთვის არაფერია წმინდა! – გაჰყვიროდა უფროსი.

მე უკვე მოვასწარი წამოჯდომა და ვუთხარი:

– მაგრამ, პან უფროსო, ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ გახ-